

პოსტულკანური პროცესები ჯავახეთის ზეგნის დოლერიტებში (გომარეთისა და ახალქალაქის პლატოების მაგალითზე)

ბეჟან თუთბერიძე^ა, მარიამ ახალკაციშვილი^ა

ელ-ფოსტა: bejan.tutberidze@tsu.ge

^ა გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზ. #1, თბილისი, 0179, საქართველო

შრომში წარმოდგენილია ზედა პლიოცენ-ქვედა პლეისტოცენური ასაკის (1.7 მლნ. წელი) ახალქალაქისა და გომარეთის პლატოს დოლერიტების ჰიდროთერმალურად შეცვლილ ზონებში მეორადი მინერალიზაციის პროცესების კომპლექსური შესწავლის შედეგები. ზონის ფარგლებში გამოვლინებულია ჰიდროთერმალური მეტამორფიზმის ხარისხით განსხვავებული რანდენიმე უბანი; მეორადი მინერალების ფართო სპექტრით ხასიათდება გომარეთის პლატოს ჰიდროთერმალურად შეცვლილი ზონის დოლერიტები: Ca და Na-Ca ცეოლითები (შაბაზიტი, ტომსონიტი), თიხის მინერალები (მონტმორილონიტი, ბეიდელიტი), კარბონატები (კალციტი) და პუმპელითი. გაცილებით ვიწროა მეორადი მინერალების სპექტრი ახალქალაქის (თოკის ჭრილი) ჰიდროთერმალურად შეცვლილ დოლერიტებში: ძირითადი მინერალია რადიალურ-სხივოსმური არაგონიტი, ცოტაა კალციტი და დოლომიტი. მეორადი მინერალების ფორმირება ხდება შემცველი ქანების ქანმაშენი მინერალების (პლაგიოკლაზი, ოლივინი, პიროქსენები) მთლიანი ან ნაწილობრივი დაშლის ხარჯზე დაბალტემპერატურული ჰიდროთერმალური ხსნარების ძემოქმედებით; მეორადი მინერალიზაციის პროცესი მიმდინარეობს ნეიტრალურ და ტუტე გარემოში, ხსნარში Si დაბალი აქტიურობის პირობებში.